ახალი

ჯანმიანი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უძვერს გული„

ჯანმიანი

88-ე წელი თქვენთან ერთად!

2019 წელი 28 თებერვალი № 2 № 8143

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com

„ჰაიდელბერგცემენტმა„ კასპის ცემენტის ქარხნის სრული მოდერნიზაცია მოახდინა

გვ2.

შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში

გვ2.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი„

გვ3.

„ზოგჯერ ხუმი მონაცრებსც წამომცლიან„

გვ3.

სასმელი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

გვ3.

სოფელ წინარეხის გზაზე ასფალტი იგება

გვ2.

„თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა„

გვ4.

გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

გვ2.

„მე ვარ ოქროთ, ცოცხი ბოლოერში„

გვ3.

გრიშაშვილის ქუჩის მოასფალტება

გვ2.

გრიპის ეპიდემია ყოველწლიური მოვლენა

გვ6.

„ცოცხალ ოთხი ძველი ანუ ჯადოები და მკვლელები მეორედ იმოცანის ფონზე

გვ8.

გვ8.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები

გვ9.

ფონდების მცველი

გვ9.

გვ9.

აუსსნელი, უცნაური, მოულოდნელი

ყოველთვის

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

„ენა, მითი, რელიგია, ხელოვნება და მეცნიერება არის „სიმბოლური ფორმა", რომლის საშუალებითაც ადამიანი აწესრიგებს თავის გარშემო არსებულ ქაოსს."

კასირერი

„ჰაიდელბერგცემენტმა„ კასპის ცემენტის ქარხნის სრული მოდერნიზაცია მოახდინა

ჩვენ ვიუწყებოდით, რომ ცემენტის ქარხნის მოდერნიზაციის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები 2016 წლის სექტემბერში დაიწყო და მის განსახორციელებლად 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია გამოიყო.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ კასპის ცემენტის მოდერნიზებული ქარხანა დაათვალიერა. აღინიშნა, რომ ობიექტი საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი სტიმულის მიმცემი იქნება. მოდერნიზებული ქარხანა კიდევ ერთი გზავნილია, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება არის დაცული.

კასპში ცემენტის წარმოებას დიდი ტრადიცია აქვს და სასიხარულოა, რომ აქ ახალ თანამედროვე ხაზს ვხსნით. ჩვენ გვჭირდებოდა ახალი ტექნოლოგიები, იმისათვის, რომ ეს სექტორი კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი ყოფილიყო, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

პროექტი საქართველოს თანაინვესტირების ფონდისა და კომპანია "ჰანიველპარტნერსის" მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტი უახლესი ტექნოლოგიებით კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობას გულისხმობს. კასპელებისათვის მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა უმაღლესი სტანდარტის ფილტრაციის სისტემა და ემისიების მუდმივი მონიტორინგის სპეციალური აპარატურა, რომლის საშუალებითაც მტვრისა და გამონაბოლქვის რაოდენობის გაკონტროლება ონლაინრეჟიმში იქნება შესაძლებელი.

გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრას შიდა ქართლის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მუზეუმის თანამშრომლები დაესწრნენ. მათ სამომავლო გეგმები განიხილეს და მუზეუმის იერ-სახის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ პროექტებზე იმსჯელეს.

დაგეგმილია გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმის ინფრასტრუქტურის განახლება. ასევე, ახალი ტირაჟით დაიბეჭდება გიორგი მაზნიაშვილის მემუარები - მოგონებანი.

გენერლის სახლ-მუზეუმი სოფელ სასირეთში 1990 წელს გაიხსნა. მუზეუმში დაცულია გიორგი მაზნიაშვილის მემორიალური ნივთები, ფოტო და სხვა დოკუმენტური მასალა.

შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში

კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოადგილემ ნუგზარ სამხარაძემ შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე ისაუბრეს მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის, კულტურის, ტურიზმის საკითხებზე.

ნუგზარ სამხარაძემ აღნიშნა, რომ კასპში არის ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი ისტორიული და კულტურული ძეგლები, მუზეუმები და სხვა. ტურისტის დაინტერესებას კი საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობაც განაპირობებს. მნიშვნელოვანია სასტუმროების საკითხი, რათა ტურისტს მიეცეს შესაძლებლობა იმავე დღეს არ დატოვოს მუნიციპალიტეტი. ასევე აუცილებელია ტურისტული ცენტრის არსებობა, რომლის მშენებლობაც დაგეგმილია.

შეხვედრაზე საკითხებთან მიმართებაში ისაუბრეს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა, მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ. საქმიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის დაიგეგმა სამომავლო შეხვედრა.

სოფელ წინარეხის გზაზე ასფალტი იგება



სოფელ წინარეხის შიდა სახელმწიფოებრივ გზაზე ასფალტის დაგების სამუშაოები გრძელდება.

ამჟამად ასფალტი სოფლის შესასვლელამდეა დაგებული.

მშენებელი "საგზაო-სამშენებლო სამმართველო №1" სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოებს ახორციელებს და უახლოეს დღეებში სოფლის მეორე მხრიდან ასფალტის დაგების დაწყებისთვის ემზადება. გზის სიგრძე 4500 გრძივი მეტრია, მასზე 3 532 000 ლარი იხარჯება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

აღნიშნული გზის კეთილმოწყობა ადგილობრივი მოსახლეობის გადაადგილების გაუმჯობესების გარდა, ხელს შეუწყობს ტურისტული პოტენციალის გაზრდასაც, ვინაიდან ქვათახევის ტაძრისკენ მიმავალმა ტურისტმა აღნიშნული გზით უნდა ისარგებლოს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულში ესტატე აბულაძემ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გრიშაშვილის ქუჩის მოასფალტება

ქალაქ კასპში გრიშაშვილის ქუჩაზე ე.წ. მუხის გზაზე ასფალტის დაგების წინა მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ - ქუჩის მოასფალტება დაიწყო. გზის სიგრძე 500 გრძივი მეტრია, რომელზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 293 989 ლარი იხარჯება. მოუწესრიგებელი ქუჩა მოსახლეობას და ტრანსპორტს გადაადგილების დროს პრობლემებს უქმნიდა, განსაკუთრებით ნალექიან ამინდში.

მოასფალტებულ ქუჩაზე მოეწყობა საგზაო ნიშნები და სიჩქარის შემზღუდველები - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა კასპში ლევან გეჯაძემ. სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "მილენიუმბილდერგრუპი" ასრულებს.

სასმელი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება



სოფელ წინარეხში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის მოწყობის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს წყალმიმღები კაპტაჟის, რკინა-ბეტონის სალექარის და რკინა-ბეტონის საფილტრაციო ნაგებობის, გამრეცხი მილსადენის, სანიტარული ზონის და მდინარე კავთურას ხეობიდან ე.წ. პარატისის ბუნებრივი წყაროებიდან ახალი, 4 496 გრძივი მეტრი მაგისტრალის მოწყობას, ასევე გამწმენდი ნაგებობის დაერთებას.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „კაპიტელი" აწარმოებს, რომელზეც 427 535 ლარი იხარჯება.

პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის დასრულება უზრუნველყოფს - სოფლის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესებას.

ალიანის საჯარო სკოლაში

ალიანის საჯარო სკოლაში შენობის მოწყობის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

დემონტაჟის შემდეგ სკოლაში თანმიმდევრობით განხორციელდება იატაკის, ჭერის, კარფანჯრის, სველი წერტილების, გარე კანალიზაციის, ელექტროგაყვანილობის, წყალსადენის, გარე კიბის, სპორტული დარბაზის ფანჯრის დამცავი ბადის მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნულ სამუშაოებზე 127 772 ლარი დაიხარჯება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ხელშეკრულების მიხედვით, მშენებელი შპს "ხარისხი" სამუშაოებს მიმდინარე წლის მარტის თვეში დაასრულებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ვიმეგობროთ როცა მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა



უფრო ბევრი იცით ვიდრე მარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტული საბავშვო მუზეუმებსა თუ აქტრაქციონებზე,

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დაგროვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი"

„ზოგჯერ სიმი მონაცრიბაც წამომცდება"

კასპის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი "ეტალონი", რომელშიც მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გამორჩეული მოსწავლეები.

ღონისძიებას სტუმრობდნენ კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, ქალაქის მერი მანუჩარ მერებაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან მიგრიაული, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები.

ტრადიციულად, როგორც სჩვევია ხოლმე, არაორდინალურად, შესაშური ომახიანი შეძახილით მიესალმა დარბაზს "ეტალონის" პროექტის ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი, რომელმაც დიდი სიამაყითა და სიამოვნებით ამცნო დამსწრე საზოგადოებას ის ფაქტი, რომ კასპის ეტალონი განსაკუთრებული სიურპრიზებისა და ემოციების ფონზე წარიმართებოდა.

სხვათა შორის, შეჯიბრების დაწყებამდე პროექტის ავტორმა განაცხადა, რომ 2017-2018 სასწავლო წლის კასპის ეტალონ მოსწავლეს მაკა მაისურაძეს გადაეცა ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი დიპლომი, ხოლო მის მშობლიურ სასირეთის საჯარო სკოლას /დირექტორი ნანი ბარნაბიშვილი/, გადაეცა სპეციალური დიპლომი ღირსეული მოსწავლის აღზრდისათვის.

ამჯერადაც აზარტული, ძალიან ხალისიანი "პაექრობა" წარიმართა და კასპის ეტალონი მოსწავლე გახდა ლამისყანის საჯარო სკოლის /დირექტორი დარეჯან ჭიხინაშვილი/ მეცხრე კლასის მოსწავლე დავით ბეინაშვილი, რომელმაც ყველაზე მაღალი, 85 ქულა დააგროვა.

დათო ბეინაშვილის გარდა, საუკეთესო შედეგების კიდევ ორი მოსწავლე გამოვლინდა, ესენი არიან კასპის მეოთხე საჯარო სკოლის /დირექტორი ქეთევან ხითარიძე/ მეათე კლასის მოსწავლე გიორგი ნონიაშვილი /83 ქულა/ და დოესის საჯარო სკოლის /დირექტორი იზოლდა ციცაგი/ მეთერთმეტე კლასის მოსწავლე /82 ქულა/ თამარ ხეჩიკაშვილი.

ინტელექტ-ჩემპიონატის მაღალქულიანი მოსწავლეები არიან აგრეთვე, ლამისყანის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე მარიამ ბეინაშვილი /80 ქულა/ შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის /დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი/ მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ლიკა ლავრელაშვილი /80 ქულა/, კასპის პირველი საჯარო სკოლის /დირექტორი მაია დაბრუნდაშვილი/ მეათე კლასის მოსწავლე მარიამ ღვინიაშვილი /79 ქულა/, ლამისყანის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე გიორგი ჭიხინაშვილი /77 ქულა/, ქვემო გომის საჯარო სკოლის / დირექტორი თამარ მამულაშვილი/ მეათე კლასის მოსწავლე ქეთევან რევაზიშვილი /77 ქულა/, სასირეთის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე მარიამ მაისურაძე /76 ქულა/.

ეტალონის ყველაზე შთამბეჭდავი, მეტიც, პომპეზური ნაწილი გახლდათ დაჯილდოების ცერემონია, მაშ ასე, საუკეთესო შედეგების მქონე სამი მონაწილე ქალაქის მერიამ დაასაჩუქრა ლეპტოპით, აგრეთვე, ლეპტოპი გადაეცემა გამარჯვებული ეტალონელის დამრიგებელსაც, მისი სკოლა კი, მიიღებს 20 ათას ლარს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გულიანი დაჯილდოების მომსწრე მუნიციპალიტეტის მოსწავლეების მიმართ ჯერ არ ვყოფილვართ.

"კასპის ეტალონი მოსწავლის" ოჯახი სრული დაფინანსებით შაბათ-კვირას გაატარებს ბაკურიანში. საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ "კასპის ეტალონი მოსწავლე" დავით ბეინაშვილი ერთი დღით ქალაქის მერის მოვალეობას "შეასრულებს", მისთვის ყველაზე აქტუალურ საკითხს მოაგვარებს, და კიდევ, კასპის ეტალონი მოსწავლე დავით ბეინაშვილი საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

მოკლედ, ამ ინტელექტუალურ ღონისძიებას ჰქონდა არაჩვეულებრივი ფინალი...

მეცხრეკლასელმა დავით ბეინაშვილმა სამადლობელი სიტყვის სანაცვლოდ წაიკითხა გიორგი თუშიშვილის გახმაურებული ლექსი "აფხაზეთში გათენებული საქართველო".

რ. ქართლელიშვილი.

ჩემი თანამედროვე

გილოცავთ იუბილეს

ლადო ექიმი საუკეთოო მეუონეულ არის

შორიდან, ერთი შეხედვით ვერ იტყვით, რომ ასაკოვანია, უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება, თანაც მხნედ, შემართებით... არადა, ოთხ ათეულ წელზე მეტია, სანუკვარ საქმეს დაუღალავად ემსახურება სამთავისელი ლადო ექიმი. მარტო თანასოფლელებს ან ქვემოჭალელებს კი არა, ახლომახლო სოფლების პაციენტებსაც ეიმედებათ მისი, ეხმარება ყველას, დიდსა თუ პატარას, უშურველად, დიდი სითბოთი და პასუხისმგებლობით ეპყრობა გასაჭირში მყოფ ადამიანს, განსაკუთრებით კი, პატარა პაციენტებს, ვინაიდან იგი პროფესიით პედიატრია...

პედაგოგების ოჯახში დაბადებულ-აღზრდილმა ვლადიმერ უზნაძემ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1968 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები იმჟამინდელ ყველაზე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა.

1975 წლის პირველი აგვისტოდან მან მუშაობა დაიწყო გორის რაიონის სოფელ შინდისის საუბნო საავადმყოფოს ექიმ-პედიატრად. ამ თანამდებობაზე ვლადიმერ უზნაძემ 1985 წლამდე იმუშავა, იმავე წელს ჩვენს რაიონში გადმოიყვანეს და 1992 წლამდე იყო ახალქალაქის საავადმყოფოს პედიატრი, ხოლო 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე მუშაობს ქვემო ჭალის საექიმო ამბულატორიაში ოჯახის ექიმად.

— ოჯახის ექიმს, ბავშვებიდან დაწყებული, მოხუცებით დამთავრებული, ნებისმიერი კატეგორიის პაციენტი აკითხავს, — განმარტავს ლადო ექიმი, — ოჯახის ექიმისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქცია გახლავთ პროფილაქტიკური აცრები, რა თქმა უნდა, როგორც გეგმიური, ასევე, მასიური აცრები, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ ეპიდემიის პრევენციას.

მაგალითად, წელს, მოგეხსენებათ, რომ წითელას ეპიდემიის გავრცელების საშიშროება არსებობდა და ბუნებრივია, ამ საფრთხის შემცველ მოვლენას ექიმი ჩვეული სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით აკვირდებოდა, რა თქმა უნდა, მთელი ამბულატორია ჩართო ამ პროცესში, 20 იანვრიდან დაიწყო აქცია და ექიმმა თავის ვაქცინატორ, ქვემოჭალელ თამარ სუხაშვილთან ერთად ყველა ოჯახი მოიზიდა, ერთი სიტყვით, ეპიდემიის წინააღმდეგ დაგეგმილი აქცია დროულად და ორგანიზებულად წარიმართა და ცხადია, უკმაყოფილოც არავინ დარჩენილა.

გამოცდილ ექიმს მოცლილს ვერასოდეს ნახავთ, პაციენტების გარდა მას აკითხავენ თანასოფლელები, მეზობლები და ნაცნობები, მეგობრები, მასთან მოდიან რჩევა-დარიგების მისაღებად, უფრო მეტიც, კვალიფიციური კონსულტაციის მოსასმენად, დასახმარებლად.

ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ერთგული და ავტორიტეტული კაცი სოფელს მუდამ გვერდში უდგას. ამიტომაც იყო, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე ლადო უზნაძის კანდიდატურას ბევრმა თანასოფლელმა დაუჭირა მხარი და ამდენად, ახლა უკვე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამთავისის დეპუტატს ვლადიმერ უზნაძეს ოფიციალურად ევალება, რომ დახმარება გაუწიოს მეზობლებს, მათი საწუხარი და ყოფითი პრობლემების შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. რა თქმა უნდა, ექიმის, სოფლის დეპუტატის სიტყვას ფასი აქვს, სანაქებო ოჯახის ღირსეულ და ამაგდარ ადამიანთან მიმსვლელ-მომსვლელი არ ილევა, გულს დაგიამებთ მისი საარაკოდ მოვლილი ეზო-მიდამო და სანიმუშოდ მოვლილი ბაღ-ვენახები, წლებია, ექიმ-პედიატრი მეფუტკრეობასაც ეწევა და თან ძალიან დიდი წარმატებით, სხვათა შორის, ეს მისი გატაცება როდია.

ჯერ კიდევ წლების წინ მისმა ოჯახმა დაიწყო ფუტკრის მოშენება, თურმე, ლადო ექიმის დედა თამარ გორჯოლაძე გახლდათ ამ "ჯადოსნური" მწერის თაყვანისმცემელი, მას ამ საქმეში საკმაო გამოცდილება ჰქონდა და მათ ოჯახში დღემდე არ ილევა ფუტკრის სკა...

ბატონ ლადოს ჰყავს მეუღლე თამარ რაჯაბაშვილი, ქალიშვილი გვანცა, შვილიშვილი ელრი ენდრიუს უზნაძე. ისინი გერმანიაში ცხოვრობენ.

თებერვლის დასაწყისში ლადო უზნაძემ 70 წლის იუბილე აღნიშნა; მიიღო მილოცვები კოლეგა ექიმებისა და რაიონის საკრებულოს დეპუტატებისაგან. ვუერთდებით მილოცვებს და კავკასიურ დღეგრძელობას ვუსურვებთ ბატონ ლადოს.

"თოვლი ადი ჯავახეთის მთათა ზედა"

"მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა, და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი... მწყემსსა ჰკითხა: — რომელია ქართლის გზაი? მწყემსმა უთხრა: — საქართველო არის ესე"...

ანა კალანდაძე.

რელიგიურ დღესასწაულთა შორის "ნინოობა" ერთ-ერთი გამორჩეულია, ამ დღეს ქართველები ყოველთვის დიდი პატივითა და სიყვარულით აღნიშნავენ...

წმინდანის ხსენების დღესთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების საქალაქო ბიბლიოთეკაში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, აქ იყვნენ პედაგოგები და მოსწავლეები, სასულიერო პირები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები, წმინდანის მოსახელე ქალბატონები: კასპის სკოლა-გიმნაზიის პედაგოგი ნინო ბურდული, კასპის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი ნინო სულაშვილი, კასპის მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგები ნინო ხერკილაძე და ნინო სულაშვილი, კასპის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი ნინო ნონიაშვილი, ქალაქის მეორე საბავშვო ბაღის აღმზრდელი ნინო გოგოლაძე, მესამე საბავშვო ბაღიდან ნინო გიგაური, მეხუთე საბავშვო ბაღიდან ნინო მაისურაძე, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების სპეციალისტები ნინო კიტრიაშვილი და ნინო ზერეკიძე...

დარბაზში შეკრებილ სტუმრებს მიესალმა ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი ლია მენაბდიშვილი, ძალიან საინტერესოდ და ამომწურავად ისაუბრა წმინდა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ... ითქვა, რომ წმინდა ნინო ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელია საქართველოში. იგი წარმოშობით კაბადოკიელი გახლდათ, ნინომ გაიგო ქრისტეს მიწიერი წამების ამბავი და ისიც, რომ თურმე, უფლის კვართი (უკერავი პერანგი) წილისყრით შეხვედრია მცხეთელ ელიოზს, რომელსაც ის დისა და დედის თხოვნით ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში წაუსვენებია.

... კაბადოკიელი ნინო ოცნებობდა ივერიაში ჩამოსვლაზე, რათა ქრისტეს პერანგის მოხვევის ღირსი გამხდარიყო. ღმერთმა ისმინა მისი მხურვალე ლოცვა და ერთხელაც მას ძილში წმინდა მარიამი გამოეცხადა და უბრძანა: "წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში და იქადაგე სახარება". ღვთისმშობელმა იმავდროულად ვაზისაგან გააკეთა ჯვარი, რომელიც ლეგენდის თანახმად ნინომ საკუთარი ნაწნავით შეკრა და გამოემართა საქართველოსკენ... მცხეთაში მოსვლისთანავე მან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება და სამკურნალო ხელოვნებით მან მოსახლეობის დიდი ნაწილის ყურადღებაც მიიპყრო, უმნიშვნელოვანესი ფაქტი გახლავთ ისიც, რომ მცხეთაში მოსვლის მეექვსე წელს წმინდა ნინომ გააქრისტიანა ქართლის დედოფალი ნანა, ხოლო შემდეგ კი, მეფე მირიანი, მთელი სამეფო ოჯახი.

სწორედ წმინდა ნინოს წყალობითა და მეცადინეობით მცხეთაში და არა მხოლოდ აქ, ქრისტიანობის მრავალი მიმდევარი გაჩნდა, შემდეგ კი, წმინდა ნინო თიანეთში ასულა და ბევრი ქართველი გაუქრისტიანებია... უკან დაბრუნებისას წმინდა ნინო ავად გამხდარა და სოფელ ბოდინში /ახლანდელი ბოდბე/ გარდაცვლილა, იქვე დაუსაფლავებიათ.

ღონისძიების სტუმრებს მიესალმნენ და წმინდანის ხსენების დღე მიულოცეს კასპის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა, საქალაქო ბიბლიოთეკის მენეჯერმა მაია აბუაშვილმა.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა მიხეილ ქოსაშვილმა.

ნინოობის დღესასწაული სიმღერით მიულოცა სტუმრებს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა ხათუნა ხაჩიძემ, დამსწრეთა წინაშე წარდგა პატარა მომღერალი /პედაგოგი ზაზა მენაბდიშვილი/ გიორგი ჯავახიშვილი.

„დედამთავარის დღეობა„

ქვემო ჭალის ბიბლიოთეკაში ნინოობის დღესასწაულზე ხალხმრავლობა იყო. აქ შეიკრიბნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, პედაგოგები, საზოგადოების წარმომადგენლები.

გაიმართა საინტერესო ღონისძიება ეგიდით "დედამთავარის დღეობა", რომელიც მიეძღვნა ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ხსენების დღეს...

შეხვედრის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და წმინდანის ხსენების დღე მიულოცა ქვემო ჭალის ბიბლიოთეკის მენეჯერმა ნინო აბულაძემ.

საინტერესო მოხსენებით "წმინდა ნინოს ცხოვრება და მისი მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში" — გამოვიდა ქვემო ჭალის საჯარო სკოლის მასწავლებელი ირმა ზაქარაშვილი.

ღონისძიება გაალამაზა, საინტერესო და დაუვიწყარი გახადა მოსწავლე-ახალგაზრდების ინიციატივით მოწყობილმა მუსიკალურმა განყოფილებამ...

ბავშვებმა წაიკითხეს წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები, კულტურის სახლის ლოტბარის გიორგი ხასიშვილის აღსაზრდელების შესრულებით აჟღერდა ქართული საგალობლებიც.

ღონისძიების დასასრულს შეხვედრის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა კულტურის სახლის დირექტორმა მარიკა ყარანაშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

„კომაროვის„ საშაბათო სკოლა კასპშიც იხსნება



"კომაროვის" სკოლისადმი გამორჩეული დამოკიდებულება წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა და იქ სწავლა ერთგვარი განაცხადია, რომ მოსწავლე სიბეჯითესთან ერთად საუკეთესო მონაცემებს ფლობს. კასპში კომაროვის საშაბათო სკოლის გახსნის სიახლემ მოიცვა ჩვენი რეგიონი. ჭორ-მართალში გასარკვევად გთავაზობთ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას.

თბილისში საშაბათო სკოლის ათწლიანი წარმატებული ფუნქციონირების შემდეგ, კომაროვის სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ეს პროექტი გააფართოოს და რეგიონის მოსწავლეებსაც შესთავაზოს.

იმის მიუხედავად, რომ კომაროვის სკოლა თბილისში მდებარეობს იგი მთელი საქართველოს ნიჭიერი მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. მოგეხსენებათ, რომ კომაროვის სკოლას აქვს კეთილმოწყობილი პანსიონი, რომელშიც მუდმივად რეგიონებიდან 100 საუკეთესო მოსწავლე ცხოვრობს და განათლებას კომაროვის სკოლაში იღებს სრულიად უფასოდ. კომაროვის სკოლისთვის რეგიონებთან ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია, ძალიან ბევრი წარმატებული მოსწავლე თუ კურსდამთავრებული სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები არიან. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ საშაბათო სკოლის რეგიონში გახსნა ხელს შეუწყობს უფრო მეტი ნიჭიერი ბავშვის აღმოჩენასა და მომავალში მათ წინსვლას.

სკოლაში მიიღებიან მე-3,4,5,6 კლასის მოსწავლეები. გაკვეთილებს ჩაატარებენ "კომაროვის" მიერ შერჩეული კვალიფიციური პედაგოგები. გაკვეთილის ხანგრძლივობა იქნება 3 საათი, 15 წუთიანი შესვენებით და ჩატარდება კვირაში ერთხელ, შაბათ ან კვირა დღეს.

გაკვეთილები ძირითადად შეეხება "კომაროვის" შაბათის სკოლაში აპრობირებულ კლასგარეშე საკითხებს, რომლებიც აზროვნებაზე და ლოგიკაზეა დაფუძნებული.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებს ექნებათ სამი შემაჯამებელი წერა, რომელთაგან ბოლოს წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ჩაირიცხებიან "კომაროვში".

გადასახადი: თვის განმავლობაში 50 ლარი (4 მეცადინეობა). სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენელი ბავშვები გადასახადისგან თავისუფლდებიან, ასევე შეღავათი შეეხებათ დედმამიშვილებს. მოცემულ შემთხვევაში ერთი გადაიხდის მთლიან თანხას, ხოლო მეორე გადაიხდის ნახევარს (25 ლარს).

სკოლა გაიხსნება კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2019 წლის 2 მარტს 14.00 საათზე.

საკონტაქტო პირები: 592 29 99 95 ზურა, 597 02 44 85 შალვა.

"ნეტავ, სიყოყხლის მომგონი" ...

პირველსკოლელები ...

საინტერესო, აღმშენებლობითი წინსვლით "დაიხუნძლა" 2018 წელი კასპის რაიონში. ყველაზე თვალსაჩინო შენაძენი კი კასპის პირველი საჯარო სკოლის უნიკალური შენობაა...

ასოც წელს გადაცილებულ ამ სკოლას ბევრი სახელოვანი ადამიანი აღუზრდია, მაგრამ ყოფილ მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა გამორჩეულად გაიხარა...

2018 წელს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა პირველი სკოლის მეთერთმეტეკლასელთა პირველი გამოშვების სამ თანაკლასელს.

სამივე ჯანმრთელი და გახარებულია სიცოცხლის წლებით, მონაგრით: ნათელა ფარემუზაშვილი-ხორგუაშვილი, ეთერ შაველაშვილი-უზნაძე, ეთერ მერებაშვილი-დონაძე...

ოთხმოცდათერთმეტი წლისაა სონია გოჭოშვილი-მამაცაშვილი. 93 წლისა შეხვდა ახალ წელს ვალია ფარემუზაშვილი-მინდაძე (სამწუხაროდ 2019 წლის 13 იანვარს გარდაიცვალა).

პირველ-სკოლელ დღეგრძელთა რეკორდი "მოხსნა" დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ჰოლანდიის კუნძულ ტექსელის ეპოპეის მონაწილემ გრიგოლ ბაინდურაშვილმა. მან გასულ, 2018 წელს 98 წელი იზეიმა...

"ნეტავ, სიცოცხლის მომგონი ღმერთი, თუ ჯოჯოხეთია", - ნათქვამია ერთ ქართულ ხალხურ ლექსში. ამ პირველსკოლელებს რამდენიმე ნაბიჯი აშორებს საუკუნემდე, ალბათ, უფრო ღმერთია სიცოცხლის მომგონი...

იმედია, ჩვენი პირველსკოლელები კიდევ ბევრ ახალ წელს ჯანმრთელად და სიხარულით შეხვდებიან.

მრავალჟამიერ!..

თამარ გაბოძე.

"მე ვარ ოქროთ, ლუკი ბოლოლერი"

საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მწერლისა და პოეტის, უნიკალური გამოცემების ავტორის სოლომონ /ბიჭი/ თეზელიშვილის შემოქმედებითი საღამო, სადაც თავი მოიყარეს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, მწერლის ახლობლებმა და მეგობრებმა.

საღამოს უძღვებოდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თემურ ჩალაბაშვილი.

შეხვედრაზე გამოსულმა ორატორებმა, მწერლის შემოქმედების დამფასებლებმა და კოლეგებმა დამსახურებულმა ინჟინერმა, ჩოხოსანთა წევრმა კოტე მიქაძემ, ბიზნესმენმა ვალერი კობახიძემ, რეჟისორმა თემურ ხუციშვილმა ვრცლად, საინტერესოდ და სიამაყით ისაუბრეს ბიჭი თეზელიშვილის ბიოგრაფიაზე, შემოქმედებაზე, მის მოღვაწეობასა და მის საინტერესო პიროვნებაზე.

აღინიშნა, რომ ათეული წლების განმავლობაში ბიჭი თეზელიშვილი დაუღალავად, უდიდესი რუდუნებით და თან უხმაუროდ ეწევა მნიშვნელოვან სამეცნიერო მოღვაწეობას. საგულისხმო გახლავთ ის ფაქტიც, რომ მას დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სხვათა შორის, წლების განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდა აღნიშნულ დარგშიც, ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, აღზარდა თაობები, იყო სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის რექტორი.

25 წლის განმავლობაში ბიჭი თეზელიშვილი ნაყოფიერად მუშაობდა მთავრობის კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრის აპარატში. თუმცა, მის მრავალმხრივ სამეცნიერო საქმიანობაში უმთავრესი ადგილი უკავია სამწერლობო, შემოქმედებით მოღვაწეობას.

– თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ვიცნობ ბიჭი თეზელიშვილს და დაბეჯითებით შემიძლია იმის თქმა, რომ იშვიათად მინახავს მისნაირი გულანთებული ქართველი, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ქართული ფოლკლორის ქურუმმა ანზორ ერქომაიშვილმა, – მისი უნიკალური, სამეცნიერო გამოცემები, ენციკლოპედიები, ვრცელი ნაშრომები, რომელიც ეხება პოლიტიკასა თუ ეკონომიკას, ხელოვნებას დარწმუნებული ვარ სჭირდება დღევანდელ საქართველოს და წაადგება მომავალშიც.

სოლომონ თეზელიშვილი გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის სამსახური გულითადად ვულოცავთ ბატონ სოლომონს მორიგ აღიარებას და ველოდებით ახალ წარმატებებს.

ყველა დროს თავისი გმირები და ანტიგმირები ჰყავს. ისინი სარკესავით ირეკლავენ რეალობას. თუმცა, არიან ისეთებიც ყველა დროის სათქმელს რომ ამკვიდრებენ თავისი ცხოვრებით, სიბეჯითით, დაუღალავი კალმითა თუ ცხოვრებისეული პოზიციით.

"მოძრავ და ბუნებისმიერ დინამიკაში არ არსებობს აბსოლუტური სრულყოფილება. ის რაც მზარდია, ყოველ წუთს მსწრაფველია სიახლისა და სრულყოფილებისაკენ. ასევეა ლექსიკონებიც, მაგრამ ყოველი ლექსიკონი უნდა პასუხობდეს თანადროულობას და გააჩნდეს ხიდის ფუნქცია წარსულსა და აწმყოს შორის." ასეთი ანოტაციით წარუდგინა თავისი წიგნი სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილმა მკითხველს.

სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილის ენციკლოპედიები კარგა ხანია განსწავლული ქართველებისათვის სამაგიდო წიგნად იქცა; რომელი დავასახელოთ ესტეთიკის, იურიდიული და პოლიტიკური, ფსიქოლოგიური ტესტების, კონფლიქტოლოგიის, ხელოვნების თუ ფსიქოლოგიის ენციკლოპედიები. ცალკე აღნიშვნის ღირსია მის მიერ შედგენილი უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თეზელიშვილისეულ გამოცემაში 27 000 ტერმინი - 200000 განმარტებაა, მანამდე არსებულში კი 15500 ერთეული იყო.

ალბათ აუცილებლად უნდა გაგაცნოთ მისი ავტორობით გამოცემული წიგნები: "ესთეტიკის ენციკლოპედია", "სუფრის კოდექსი" /რუსულ და ინგლისურ ენებზე/, "სუფრის ისტორია", "მსოფლიოს სამეფო დინასტიები" /ენციკლოპედია/, "საბედისწერო ფაქტები, მისტიკა და მისტიკოსები, გენიოსები, განსაკუთრებულ შტრიხებში", "ესეები და ფილოსოფიური წერილები – შიშზე, სიკვდილზე, ინტუიციაზე, პროგნოზზე", "უნივერსალური მუდმივი კალენდარი" /ბროშურა/, "ბანკი, ფული, ოქრო" /ისტორია/, " ვის უნდა მილიონი ორ წიგნად", "პროსტიტუციისა და სექსუალური კულტურის ისტორია-ანალიზი", "იურიდიული და პოლიტიკური ენციკლოპედია", "ხელოვნების ენციკლოპედია" /ორი ტომი/, "ფსიქოლოგიის ენციკლოპედია", "სახელმწიფოსა და სასამართლოს თეორია", "უცხო სიტყვათა ლექსიკონი". მხოლოდ ჩამონათვალიც კი ცხადყოფს, რომ მიუხედავად რთულ დროში ცხოვრებისა სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილმა საოცრად დიდი და მნიშვნელოვანი გამოცემები შექმნა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

გრიპის ეპიდემია ყოველწლიური მოვლენა

ახალი წლიდან მოყოლებული ხშირად ვსაუბრობთ გრიპზე და უნდა შევთანხმდეთ ის სულაც არაა სახუმარო დაავადება, მისი გავრცელების სეზონად ოქტომბრის დასაწყისიდან მაისის ბოლომდე პერიოდი ითვლება.

გრიპი ხასიათდება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მიმდინარეობით და შესაძლოა დასრულდეს ლეტალური გამოსავლითაც. უბრალო გაციებისგან განსხვავებით გრიპი მწვავედ იწყება. მისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია: საერთო სისუსტე, ცხელება >38 ^{0}, ხველა, ფარინგიტი (ყელის ტკივილი), ცხვირიდან გამონადენი, თავის ტკივილი, ტკივილი კუნთებში; იშვიათად დიარეა და/ან ღებინება.

რა ვიცით გრიპის შესახებ, როდიდან არსებობს იგი კაცობრიობის ისტორიაში, რა ზიანის მოტანა შეუძლია?

გასულ წელს გლობალური ჯანდაცვის ისტორიაში არსებული ერთ-ერთი უდიდესი კრიზისის - ე. წ. ესპანური პანდემიიდან 100 წელი შესრულდა. ამ გრიპის გავრცელების სიჩქარე და სიმძიმე ისეთი დამთრგუნველი აღმოჩნდა, რომ პლანეტის მოსახლეობის მესამედი (დაახლოებით 500 მლნ) ან მეხუთედი (სხვადასხვა მონაცემების მიხედვით) ნაწილი დაავადდა. ესპანურის გამომწვევი ვირუსი დღემდე ცნობილთა შორის ყველაზე დაუნდობელი, საყოველთაო და სასტიკი აღმოჩნდა. ორი წლის განმავლობაში ათობით მლნ ადამიანი დაიღუპა - იმაზე მეტი, ვიდრე ის-ის იყო დასრულებულ პირველ მსოფლიო ომში.

1918 წელს პანდემიის ინტენსიურობამ სრულიად წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. მაშინაც კი, როცა ორწლიანი მოქმედების შემდეგ ავადმყოფობა გარკვეულწილად ჩაცხრა, მაინც 50 მლნ ადამიანზე მეტი დაავადდა. მთლიანობაში, ესპანურმა გრიპმა დედამიწის დაახლოებით 17 მლნ მოსახლე იმსხვერპლა.

სინამდვილეში, 1918 წლის პანდემიას ესპანური სრულიად უსაფუძვლოდ ეწოდა. საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებში გარდაცვლილთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ესპანეთში. თუმცა, ამ ქვეყნებში ავადობის მონაცემები საომარი მდგომარეობის ცენზურის გამო არ ხმაურდებოდა. ფრანგი ექიმები ამ დაავადების აღმნიშვნელ კოდურ დასახელებას იყენებდნენ, რაც ავადმყოფობა №11-ს ნიშნავდა. ესპანეთი ომში ნეიტრალიტეტს იცავდა; შესაბამისად, იქ არც სამხედრო ცენზურა არსებობდა, ამიტომ სწორედ ამ ქვეყანაში გამოჩნდა პირველი პუბლიკაციები პანდემიის თაობაზე. ამდენად, სახელწოდება ესპანური გრიპი ზემოხსენებული მიზეზით დამკვიდრდა.

ესპანეთში აღრიცხული პირველი გარდაცვლილები ბავშვები და ქალები იყვნენ, ისინი უმთავრესად ფილტვების ანთებით, მენინგოენცეფალიტითა და ტვინის შეშუპებით იღუპებოდნენ.

გრიპის ეპიდემია ყოველწლიური მოვლენაა. მართალია, კაცობრიობა უკვე არაერთი ათასწლეულია, რაც ამ დაავადებას იცნობს, მაგრამ დღესდღეობით ის მაინც სახიფათოა: მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, ურბანიზაცია, მასობრივი მიგრაცია, ვაჭრობა - ეს ყველაფერი ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობს.

ამჟამად გრიპთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას ვაქცინაცია წარმოადგენს. ის აბსოლუტური დაცვის გარანტია არ არის, მაგრამ შეუძლია საგრძნობლად შეამციროს დაავადების რისკი და გააადვილოს ავადმყოფობის პროცესი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინფექცია ორგანიზმში მაინც შეიჭრება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცემულ სპეციალურ, გრიპისადმი მიძღვნილ ბიულეტენში გამოქვეყნებულ სტატიაში "გრიპის საიდუმლო" ნათქვამია, რომ 1932 წელს პირველად იდენტიფიცირებული ვირუსი - ორტომიკსოვირუსების ოჯახიდან - ყოველწლიურად, სეზონურად ან სპორადურად, ყველა ქვეყანაში თავს იჩენს. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, ეს დაავადება 250 000-500 000 ადამიანის დაღუპვასა და რამდენიმე მილიონის მძიმე ავადმყოფობას იწვევს. ბოლო სამი ასწლეულის განმავლობაში, გრიპის, სულ მცირე, 10 გლობალური პანდემია აღინუსხა, რომელთაგანაც სამი გასულ საუკუნეში გავრცელდა, მათ შორის, ე. წ. ესპანურიც 1918-1919 წლებში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რჩევები

5 წესი, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვათ გრიპით დაავადების შემთხვევაში:

1. აიფარეთ ხელსახოცი ცხვირსა და ყელზე, როცა ახველებთ ან აცემინებთ;

2. ხშირად დაიბანეთ ხელები;

3. დალიეთ ბევრი სითხე (წყალი) და ეცადეთ, მშვიდ გარემოში იმყოფებოდეთ;

4. თუ სუსტი იმუნური სისტემა გაქვთ, შესაძლოა, ანტივირუსული პრეპარატები დაგჭირდეთ;

5. არ დალიოთ ანტიბიოტიკები - ისინი არაეფექტიანია როგორც გაცივების გამომწვევი, ისე გრიპის ვირუსების წინააღმდეგ.

ისტორიულ წყაროებში გრიპის ეპიდემიის მსგავსი დაავადების შესახებ პირველი ცნობები ძვ. წ. 876 წელს ჩნდება, თუმცა სამედიცინო თვალსაზრისით, ძვ. წ. 412 წელს გენიალურმა ჰიპოკრატემ აღწერა დაავადება, რომელიც გრიპს ძალიან მოგვაგონებს. ავადმყოფებს მაღალი სიცხე, ყელისა და თავის ტკივილი აწუხებდათ, თანაც ის ენით აუწერელი სისწრაფით გადაედებოდა ერთი ადამიანიდან მეორეს - თუ ვინმე დაავადდებოდა, მალე იგივე ავადმყოფობა მის გარშემო დაახლოებით ათ, ერთი კვირის მერე კი ას ადამიანს შეეყრებოდა. ასე იწყებოდა ნამდვილი პანდემია, რომელიც ქვეყნებსა და კონტინენტებსაც კი მოიცავდა.

ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსის აზრით, ძვ. წ. 404 წელს ათენში მასობრივი სიკვდილიანობის მიზეზი სწორედ გრიპი იყო. უკვე დადგენილია, რომ ევროპაში გრიპის პირველი, წყაროებში აღწერილი ეპიდემია 1173 წლით თარიღდება, როდესაც იტალიას, გერმანიასა და ინგლისს ციებ-ცხელებით მიმდინარე კატარული დაავადების დიდმა ტალღამ გადაუარა.

დაავადების დოკუმენტურად დადასტურებული პანდემია კი 1580 წელს გავრცელდა და მან მოსახლეობის 90 პროცენტი მოიცვა.

შუა საუკუნეებში გრიპის აფეთქებები იშვიათობას არ წარმოადგენდა. მას ხალხი იტალიურ ცხელებას უწოდებდა, რადგან მიაჩნდათ, ავადმყოფობა იტალიიდან ვრცელდებოდა. მკურნალობა კი თაფლისა და ბალახეული ნაყენების მიღებას ითვალისწინებდა და ავადობის მიზეზად ღვთის ნება მიიჩნეოდა.

საუკუნის ბოლომდე გრიპი კონტაგიოზურ (ერთი ადამიანისგან მეორეზე უშუალოდ გადამდებ) დაავადებად არ ითვლებოდა; ვინაიდან ავადმყოფობა ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა დიდ დასახლებულ პუნქტებში, ის მიაჩნდათ მიაზმურ პათოლოგიად, რომელიც ადამიანისთვის მავნე უხილავი ობიექტებით - მიაზმებით გადაედებოდათ. იყო დრო გრიპს კატარულ ეპიდემიას, კონტაგიოზულ ცეფალგიასა და კატარულ ცხელებას უწოდებდნენ.

5 წესი, რომელიც უნდა დაიცათ, გრიპი რომ არ გადაგედოთ:

1. ჩაიტარეთ გრიპის საწინააღმდეგო ყოველწლიური ვაქცინაცია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გრიპი შეგეყრებათ, მისი სიმპტომები სუსტი იქნება.

2. მოერიდეთ ურთიერთობას გრიპით დაავადებულ ადამიანებთან;

3. ეცადეთ, ხელით არ შეეხოთ საკუთარ თვალებს, ცხვირსა და პირს: ყველაზე ხშირად თქვენს სხეულში პათოგენური ორგანიზმები სწორედ ამ გზით ხვდება;

4. თუ დაავადებულ ადამიანთან ერთად ცხოვრობთ, ეცადეთ, ხშირად გაანიავოთ ბინა და დეზინფექცია ჩაუტაროთ ავეჯისა და ნივთების ზედაპირს;

5. ხელ-პირი ხშირად დაიბანეთ.

XVI საუკუნეში ავადმყოფობა უკვე დაწვრილებით შესწავლილ-აღწერილი იყო, მაგრამ სახელწოდება ჯერაც ვერ მოეძებნათ. პირველად მას იტალიელებმა "ინფლუენცა" (ზემოქმედება, გავლენა) უწოდეს. ამასთან დაკავშირებული რამდენიმე ჰიპოთეზიდან ერთ-ერთის თანახმად, ავადმყოფობის მიზეზი ვარსკვლავთა განლაგების გავლენა იყო და სწორედ ვარსკვლავთწყობის გარკვეულ ფაზებში დედამიწას თავს ეპიდემია ატყდებოდა; მეორის მიხედვით კი მიზეზს ზამთრის ჰავა წარმოადგენდა.

დაავადების მეორე ოფიციალური სახელი გრიპი (დაჭერა, დამორჩილება), მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ გაჩნდა.

ჩინური "ესპანური" გრიპი ეპიდემია ხშირად ჩნდებოდა, მაგრამ მსოფლიო მასშტაბებს საუკუნეში სამ-ოთხჯერ აღწევდა. ასეთ მოვლენებს პანდემია ეწოდა. ცნობილი პანდემიის შემთხვევები 1580, 1675, 1729, 1742-1743, 1780, 1831, 1857, 1874-1875 წლებში აღირიცხა. ასწლეულების განმავლობაში გრიპზე საკმაო ინფორმაცია გროვდებოდა, მაგრამ მკვლევრებმა მისი ბუნების, წარმოშობა-გავრცელების მიზეზებისა და ეფექტიანი მკურნალობის თაობაზე არაფერი იცოდნენ.

1889 წლამდე გრიპის გამომწვევი მიზეზების შესახებ ექიმები თავს იმტვრევდნენ. ვარსკვლავთწყობის ნაცვლად, იმხანად უკვე დაავადების აფეთქებას დედამიწის ელექტრულ ველს, ჰაერში ოზონის მატებას, ტემპერატურულ ცვლილებებსა თუ ნალექების რაოდენობას უკავშირებდნენ.

გერმანელმა ექიმმა რიხარდ პფაიფერმა ამ ფანტასტიკურ თეორიებს წერტილი დაუსვა. 1889-1892 წლების ეპიდემიის დროს ავადმყოფების ნახველიდან აღებულ ნაცხში მან გრიპის გამომწვევი უმცირესი ზომის, ჩხირისებრი ბაქტერია აღმოაჩინა. პფაიფერის მიგნება ფრანგი და სხვა გერმანელი მეცნიერების კვლევებითაც დადასტურდა. სამეცნიერო სამყარო გამარჯვებას ზეიმობდა, თუმცა იმხანად არც ანტიბიოტიკები და არც გართულებული გრიპის სამკურნალო საშუალება ჯერ კიდევ არ არსებობდა.

პარადოქსია, მაგრამ მკვლევართა აზრით, 1918 წლის ესპანური პანდემია ჩინეთში გაჩნდა. შემდეგ კი სიკვდილის პირველი შემთხვევები ექიმებმა 1918 წლის მარტში აშშ-ში, აპრილში კი საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის საპორტო ქალაქებში დააფიქსირეს. ათ თვეში ესპანური გრიპი მთელ მსოფლიოს მოედო.

1931 წელს ამერიკელმა რიჩარდ შოუპმა, რომელიც გრიპის მიმდინარეობას ღორების პოპულაციაში შეისწავლიდა, აღმოაჩინა, რომ ავადმყოფობას არა ბაქტერია, არამედ ვირუსი იწვევს. ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ ადამიანს გრიპი სწორედ ვირუსის გადადების შედეგად ემართება, საკამათო აღმოჩნდა. ორი წლის კვლევების შემდეგ ადამიანში გრიპის გამომწვევი ვირუსი აღმოაჩინეს. 1933 წელს, პანდემიის დროს ლონდონის ეროვნული სამედიცინო კვლევების ინსტიტუტის მეცნიერებმა უილსონ სმიტმა, კრისტოფერ ენდრიუსმა და პატრიკ ლეიდლოუმ დიდი ექსპერიმენტი ჩაატარეს: ავადმყოფობა ხელოვნურად შეიყვანეს სხვადასხვა ცხოველის ორგანიზმში, გველებით დაწყებული, მღრღნელებით დამთავრებული. დროის გასვლის შემდეგ გრიპი კვერნისებრთა ოჯახის წარმომადგენელს, ქრცვინს, გადაედო. ორი დღის შემდეგ კი, ერთ-ერთი მეცნიერი, სმიტი, რომელმაც ქრცვინი ხელში აიყვანა, თავად გახდა ავად. ეს გახლდათ ვირუსით ხელოვნური დაინფიცირების პირველი შემთხვევა ისტორიაში. სწორედ ამ კვლევის ფარგლებში პირველად გამოყვეს ადამიანის გრიპის გამომწვევი ვირუსი, რომელსაც ა-ტიპის გრიპის ვირუსი ეწოდა. იმხანად ყველას სჯეროდა, რომ დაავადების მიზეზი დადგენილია, თუმცა 1940 წელს სამეცნიერო სამყარო კიდევ ერთმა აღმოჩენამ შეძრა - ტომას ფრენსისმა გრიპის კიდევ ერთი, ბ-ტიპის ვირუსი აღმოაჩინა, ხოლო 1947 წელს რიჩარდ ტეილორმა ც-ტიპის ვირუსს მიაგნო. მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დადგინდა, რომ გრიპს სწორედ ვირუსები იწვევს, დაავადების ისტორიაში არსებული ბევრი იდუმალი ფაქტი ადვილად ასახსნელი და გასაგები გახდა, თუნდაც, მაგ., ავადმყოფობის ცვალებადი ხასიათი, სხვადასხვაგვარობა და გავრცელების უნარი. თუმცა, ამით გრიპთან დაკავშირებული პრობლემები არ შემცირებულა.

ახალი სპორტული სეზონის პირველი მერცხლები

სპორტკომპლექსის ნორჩმა სპორტსმენებმა წლევანდელი იანვრის მიწურულსა და თებერვლის ორ დეკადაში წარმატებით იასპარეზეს შიდა და საგარეო სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში. გთავაზობთ სპორტული დღიურის ჩანაწერებს.

ჭიდაობა ძიუდო:

* 26-27 იანვარი, ქ. თბილისი. საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრება (2002-03 წლებში დაბადებულთა შორის) – პირველ დღეს მოასპარეზე კასპელი ჭაბუკებიდან საფინალო ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს: ნუგზარ კაფიგრანოვმა, გიგა გელაშვილმა, გიორგი ქებაძემ, ვალერი მღებრიშვილმა და ლუკა შეშაბერიძემ; მე-2 დღეს ფინალისტები გახდნენ: ბაქარ ერაშვილი, გიორგი ხინიზოვი და ირაკლი დემეტრაშვილი.

* 29 იანვარი, ქ. გორი. სერგო ქარელის სახელობის ტრადიციული ტურნირი (2004-05 წლებში დაბადებულები) – საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: სოსო ჟივიძე (II ადგილი), გურამ მეშველაშვილი და სანდრო ახლოური (ორივე – III).

* 2-3 თებერვალი, ქ. თბილისი. საქართველოს პირველობის შერჩევითი (სალიცენზიო) შეჯიბრება უმცროსი ასაკის (2004-05) ჭაბუკებში – საფინალო ეტაპზე გასასვლელი "საგზურები" მოიპოვეს: კახა ხინიზოვმა, ნიკა შეშაბერიძემ, სოსო ჟივიძემ და გურამ მეშველაშვილმა.

* 6 თებერვალი, ქ. თბილისი. საქართველოს ჩემპიონატი უმცროსი ასაკის (2002-03) გოგონათა შორის – საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 15 წლის ეკა რაზმაძემ (შეგახსენებთ, რომ მწვრთნელ ჯემალ ხორბალაძის აღსაზრდელმა შარშანდელი წარმატება გაიმეორა. ამდენად, ეკა საქართველოს 2-გზის ჩემპიონია თანატოლებში).

* 9-10 თებერვალი, ქ. მარნეული. საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის – ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურა ნუგზარ მამულაშვილის ორმა შეგირდმა: ირაკლი დემეტრაშვილმა და ვალერი მღებრიშვილმა. ჩვენი სპორტკომპლექსის სახელით მოასპარეზე ბაქარ ერაშვილი, რომელიც ქ. თბილისში სწავლობს და ვარჯიშობს, ამჯერად მე-3 ადგილზე გავიდა.

* 14 თებერვალი, ქ. კასპი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, ვეტერანი მოჭიდავის ჯემალ ხორბალაძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში მონაწილეობდნენ უმცროსი ასაკის მოჭიდავენი საქართველოს 10-ზე მეტი ქალაქიდან და რაიონიდან (თბილისი, გორი, გურჯაანი, ბორჯომი, ზესტაფონი, ხაშური, ქარელი...). გვყავს ერთი გამარჯვებული – სანდრო ახლოური და სამი პრიზიორი – ალეკო ხიზამბარელი და გიორგი ნათაძე (II ადგილი), ასევე, თემურ გოგრიჭიანი (III).

ქართული ჭიდაობა:

* 5 თებერვალი, ქ. კასპი. საქართველოს ზონალური პირველობა უმცროსი ასაკის (2005-06) სპორტსმენთა შორის – ადგილობრივი გუნდის წევრთაგან გაიმარჯვეს: ვასილ მერებაშვილმა და გურამ მეშველაშვილმა, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა სანდრო ახლოური, ხოლო მესამეზე – სოლომონ მერებაშვილი და ბექა მარქარაშვილი. მათ გარდა საუკეთესოთა 6-ეულში შევიდნენ და საქართველოს პირველობის ფინალური ეტაპის შეჯიბრებაში გამოვლენ: ოთარ გოდერძიშვილი, შოთა პატარქალაშვილი, კახა ხინიზოვი და გიორგი დავითაშვილი.

ფოტოზე: ირაკლი დემეტრაშვილი (2018 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის), ბადრი ჯანიაშვილი (1997 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში), ჯემალ ხორბალაძე, ეკა რაზმაძე (2018 წლის მსოფლიო პირველობის მესამე ადგილის მფლობელი ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის), იოსებ მაღალაშვილი (1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში), სარდიონ იაშვილი (1992 წლის მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის).

თავისუფალი ჭიდაობა:

* 30 იანვარი, ქ. კასპი. სპორტკომპლექსის საჭიდაო დარბაზში გაიმართა შიდასასკოლო პირველობა, სადაც 2007-08 წლებში დაბადებული მოზარდები გამოდიოდნენ. გაიცანით ნორჩი ჩემპიონები: ილია შარიფაშვილი, ირაკლი ბაშარული, ლუკა შარიფაშვილი, დაჩი ავლოხაშვილი, გიორგი ხიზამბარელი და ოთარ შაველაშვილი.

* 16 თებერვალი, ქ. თბილისი. საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის – ახალი სპორტული სეზონის პირველ შეჯიბრებაზე დამაკმაყოფილებელი შედეგი უჩვენა ედი ბულულაშვილმა: თემურ გაბოძის მოწაფემ მხოლოდ ნახევარფინალური შეხვედრა დათმო და, საბოლოოდ, მესამე ადგილი დაიკავა.

კიკბოქსინგი:

* 9-10 თებერვალი, ქ. თბილისი. რესპუბლიკურ ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს კასპელმა ჭაბუკებმა, რომელთაც ოთარ თოიძე ავარჯიშებს. მისი შეგირდებიდან ჩემპიონები გახდნენ: ნიკა ბერიანიძე, გიორგი ახვერდოვი და ლუკა ბარნოვი, მეორე იყო რაულ ჯაფაროვი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა გიორგი თეზიაშვილმა.

ჭადრაკი:

* 8-9-10 თებერვალი, ქ. კასპი. გაიმართა საჭადრაკო ჯგუფის სხვადასხვა ასაკობრივი მოთამაშეების შიდასასკოლო პირველობები (მწვრთნელი – მამუკა ზაქარაშვილი). ყველაზე უმცროსთა შორის (8 წლამდე) გაიმარჯვა ანდრია ზაქარაშვილმა, 10-წლამდელთა შორის საუკეთესო იყო დავით გაროზაშვილი, 12-წლიანებში – თორნიკე ზაქარაშვილი, ხოლო 14-წლიანებში – გიორგი კელაპტრიშვილი.

კალათბურთი:

* 15 თებერვალი, ქ. კასპი. საკალათბურთო დარბაზში კასპელ ჭაბუკთა გუნდებმა ამხანაგური სასპარინგო მატჩები გამართეს ხაშურელ თანატოლებთან და მოხდა ისე, რომ სამივე თამაში... დათმეს. ვნახოთ, რა იქნება სტუმრად დაგეგმილ შეხვედრებში.

სერგო ქარელის სახელობის ტრადიციული ჭიდაობის ოსტატი ჯემალ ხორბალაძე – 70

დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავად მთელი გულითა და საუკეთესო სურვილებით მოგესალმებით ქართული სპორტის (კერძოდ, ჭიდაობის) ღირსეულ წარმომადგენელს და მადლობას გიხდით იმ დამსახურებისათვის, რაც ჩვენი რაიონის სპორტის ისტორიაში დაკავშირებულია თქვენს სახელთან.

ჭაბუკობის წლებიდანვე მუდამ მისაბაძი იყო თქვენეული ჭიდაობის მანერა, მაღალი ტექნიკა და საშემსრულებლო ოსტატობა. თქვენ ბრძანდებით გასული საუკუნის 60-70-იანი წლების იმ სახელოვან ქართველ მოჭიდავეთა პლეადის ღირსეული წარმომადგენელი, ვინც თქვენთან ერთად დიდი წარმატებები მოუტანა საქართველოს საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

ჭიდაობის სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს კარგად გვახსოვს თქვენი შემართებული ჭიდაობა და უზადო ტექნიკა. თქვენ გამორჩეული იყავით ყველასგან იმითაც, რომ მთელი სპორტული მოღვაწეობის მანძილზე მსაჯებისაგან ერთხელაც არ დაგიმსახურებიათ გაფრთხილება პასიური ჭიდაობისათვის. ეს, მართლაც, უპრეცედენტო მაგალითია.

სწორედ ამიტომ შეგიყვარათ მაყურებელმა ყველგან, სადაც კი გიასპარეზიათ. თქვენ დიდ ყურადღებას უთმობდით, ძიუდოსა და სამბოს გარდა, ჩვენს ეროვნულ – ქართულ ჭიდაობას. თქვენ ერთადერთი ხართ ქართველ მოჭიდავეთა შორის, ვისაც ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატებზე და სხვადასხვა რანგის პირველობებზე არც ერთი მარცხი არ განგიცდიათ. ამიტომაც სპორტულმა ჟურნალისტებმა სამართლიანად "ხალიჩის ჯადოქარი" შეგარქვეს.

სასიხარულოა, რომ დღესაც აქტიურად ხართ ჩართული სპორტულ ცხოვრებაში და მდიდარ გამოცდილებას გადასცემთ მომავალ თაობას. საამაყოა, რომ თქვენმა აღზრდილებმა რობინზონ ბეგლარაშვილმა და ეკა რაზმაძემ დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჭაბუკთა შორის.

იმედი გვაქვს, ამას არ დასჯერდებით და მომავალშიც გაგვახარებთ სასახელო სპორტული მიღწევებით.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი დიდი ღვაწლისათვის და ჩვენი სპორტკომპლექსის თანამშრომელთა სახელით მიიღეთ გულწრფელი მილოცვა საუკეთესო სურვილებით.

გიორგი ნიპარიშვილი, კასპის სპორტკომპლექსის დირექტორი.



გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და მეტი იკითხეთ სპორტზე

სიყვარულზე უფრო ძველი არც ქალები და მამაკაცები მეორადი ემოციის ფონზე

თავისუფალი მოქმედების გამავრცელებელმა ქრილვამ ფასეულობები იმდენად ,,შეაქანა,, გაურკვეველი განათლებისა და შერყეული მორალის ადამიანებისათვის სიყვარულიც, მეგობრობაც და პიროვნული ღირსებაც მხოლოდ მლიქვნელობისა და პირფერობის დასაჭერი ,,მწვერვალად,, იქცა. ეს სამწუხარო მოცემულობა წარღვნის წყალივით აღწევს ყველა სოციალურ ფენაში და შედეგად აჰთილის ზღვართან მიჰყავს მორალური ადამიანები ... მაგრამ სივრცეში არსებობს სივრცე და როგორც გენიალური მარინა ცვეტაევა იტყოდა, ადამიანი უფრო ძველია, ვიდრე ქვიშა, გველი ან ქარვა, ზღვები თუ ქვები, მაგრამ ტკივილის გრძნობა, შესაძლოა, თვით სიყვარულზე უფრო ძველი იყოს.

ნეგატიური ფიქრი, შიში, აფორიაქება რაიმეს დაკარგვის გამო და ამით გამოწვეული ტკივილი — ფსიქოლოგები ეჭვიანობას მეორად ემოციას უწოდებენ. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს გრძნობა ხშირად ემოციათა მთელი სპექტრითაა წარმოდგენილი: ბრაზი, მწუხარება, აღშფოთება, გულისწყრომა და ზიზღი. თურმე ნუ იტყვით და, ხუთი თვის ახალშობილსაც კი შეიძლება ამგვარი გრძნობა დაეუფლოს.

ეჭვიანობის სახეებს შორის, რომლებიც სოციოლოგებს, კულტუროლოგებსა და ფსიქოლოგებს გულდასმით შეუსწავლიათ, ფრიად საინტერესოა ეგრეთ წოდებული პლატონური ეჭვიანობა. ეს ეჭვიანობის ის გამოხატულებაა, რომელიც მხოლოდ მეგობრებს შორის ურთიერთობისას გვევლინება. ამ დროს ეჭვიანობა გამოწვეულია მეგობრის დაკარგვის, მასთან დაშორების საფრთხის განცდით ან იმ აუტანელი შიშით, რომ ჩვენ, შესაძლოა, სხვამ ჩაგვანაცვლოს.

ამგვარი ეჭვიანობა იმითაა საინტერესო, რომ, ალბათ, ყველაზე მეტად უახლოვდება ზოგად-ინტელექტუალურ ეჭვიანობას, რომელიც ადამიანს ერთიანად აქვს გარემომცველი სამყაროს მიმართ. თუმცა, თუ ისევ და ისევ ფსიქოლოგებს დავუჯერებთ, ეჭვიანობის, როგორც საშინელი და აუტანელი ძალლის თავი, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის თვითშეფასებაშია დამარხული. თუ ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნიკალურები, განუმეორებლები და შესანიშნავები ვართ, არც ერთი სახის ეჭვიანობის გრძნობა არ შემოგვიტევს. თუ ადამიანს მაღალი თვითშეფასება აქვს, მას სჯერა, რომ ვერავინ შეცვლის, მის ადგილს ვერავინ დაიკავებს, მისი, როგორც ინდივიდის ფუნქციას ვერავინ შეასრულებს. აქედან გამომდინარე, არც შფოთი გვაწუხებს და არც სხვა რამ ნეგატიური შეგრძნებები.

ეჭვიანობის დემონების დასამარცხებლად, უპირველესი ხერხი სწორედ ჩვენს თავში ინდივიდის აღმოჩენის მუდმივი პროცესი, თვითშეფასების ამაღლებაზე მუშაობა და საკუთარი ღირსების აღიარებაა.

ნებისმიერ კულტურულ სივრცესა თუ სოციალურ ჯგუფში დამკვიდრებულია ფასეულობათა მეტ-ნაკლებად მყარი ერთობლიობა. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეჭვიანობის ტრიგერი სწორედ ეს ფასეულობები ხდება. ისინი განაპირობებენ მოთხოვნებს როგორც საკუთარი თავის, ასევე გარემოსა თუ პარტნიორის მიმართ.

როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვისაც ძალზე მტკივნეული და ხშირად დაუძლეველია ეჭვიანობის მთავარი სახე, რომელიც რომანტიკულ ეჭვიანობად არის სახელდებული. ის მხოლოდ იმ ადამიანებს შორის აღმოცენდება, რომლებსაც ერთმანეთთან რომანტიკული ურთიერთობა აქვთ, ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, ერთმანეთი უყვართ, ან ჰგონიათ, რომ უყვართ. რომანტიკულ ეჭვიანობასაც, რა თქმა უნდა, გააჩნია განმაპირობებელი ფაქტორები: სოციობიოლოგიური, კულტურულ-ისტორიული, პიროვნული, სიტუაციური და ა. შ. ქალი თუ მამაკაცი მუდმივად ცდილობს საკუთარი პარტნიორი თავისი სქესის სხვა წარმომადგენლებისაგან "დაიცვას". "დაცვის" სტრატეგიას უფრო მეტად მამაკაცები მიმართავენ და ის საკუთარი უპირატესობის დამტკიცებაში, ქალის მუდმივ დამორჩილებასა და ზოგჯერ ძალადობაშიც კია გამოხატული.

დაურწმუნებლობა, უნდობლობა, ეულობის განცდა — ქალები ეჭვიანობისას ამ საშინელი შეგრძნებებით იტანჯებიან, რაც არა მხოლოდ პიროვნულად აზიანებს მათ, არამედ რადიკალურად ცვლის ურთიერთობას პარტნიორ მამაკაცთან. ქალს ასეთ შემთხვევაში უქრება ის თვისებები, რომელთა გამო მამაკაცს იგი უყვარს — სილაღე, თავდაჯერებულობა, სიმშვიდე, მხიარულება და ა. შ. ამიტომ, როგორც კი იგრძნობთ ეჭვიანობის პირველ შემოტევებს, სასურველია, საკუთარი დამოკიდებულების შესახებ საყვარელ ადამიანს გულახდილად უამბოთ და ყველა პასუხგაუცემელ კითხვაზე მიიღოთ პასუხი, თორემ შესაძლოა, ნამდვილ ჯოჯოხეთში აღმოჩნდეთ. სწორედ ასე ("ჯოჯოხეთი") ჰქვია ფრანგი რეჟისორის, კლოდ შაბროლის შესანიშნავ ფილმს, რომელიც რომანტიკული ეჭვიანობის ისეთ საშინელ ფორმაზე მოგვითხრობს, რომ მისი ნახვის შემდეგ უნებურად გიჩნდება საკუთარი თავის გაფრთხილების, ამგვარი ტანჯვისაგან დაცვის აუცილებლობის განცდა.

ზემოთ მეცნიერების მიერ კლასიფიცირებული ეჭვიანობის სახეები ვახსენეთ და, შაბროლის ფილმში აღწერილი სურათი ეგრეთ წოდებულ მორბიდულ (ავადმყოფურ) ეჭვიანობას ეხება. მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც ოტელოს სინდრომს. სამწუხაროდ, ეს გახლავთ ფსიქიკური აშლილობა, როდესაც ადამიანს მტკიცედ სჯერა, რომ მას სექსუალური პარტნიორი ან შეყვარებული ღალატობს. ამ ნიადაგზე შესაძლოა, ისეთი საზარელი დანაშაულიც კი მოხდეს, როგორიცაა ფიზიკური ძალადობა ან მკვლელობაა.

ფილმის ინტელექტუალური გმირი ძალადობას ფსიქიატრიულ კლინიკაში წასვლას ამჯობინებს...

ერთი სიტყვით, თუ არ გსურთ, რომ ნამდვილ ჯოჯოხეთში აღმოჩნდეთ, უპირველესად საკუთარ თავს ეჭვიანობის მიზეზების შესახებ დაბეჯითებით ჰკითხეთ და აუცილებლად იპოვეთ პასუხი. შემდეგ კი თავადვე დაიწყეთ ბრძოლა ამ გრძნობასთან. თუმცა, თუ თქვენ უკვე სკანდალებს აწყობთ, ან დეტექტივს უშედეგოდ ქირაობთ, ეს რჩევები აღარ დაგეხმარებათ — აუცილებლად მიმართეთ ფსიქოლოგს.



ბრძოლის იმ უამრავი ხერხიდან, რომელთა გამოყენებასაც სპეციალისტები გვირჩევენ, შევეცდები რამდენიმეს შესახებ მოკლედ გიამბოთ.

ყველაზე იოლად განსახორციელებელია, რომ საკუთარი თავი პარტნიორის ადგილზე წარმოიდგინოთ და ამაზე იფიქროთ. თუ თქვენ დღეში ათჯერ მაინც ურეკავთ მას და ცდილობთ გაარკვიოთ, სად არის და რას აკეთებს, საყვარელ ადამიანს სთხოვეთ, თავადაც ასევე მოგექცეთ. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ერთი კვირის შემდეგ მიხვდებით, რაოდენ დისკომფორტსა და უხერხულობას უქმნით მას და, სრულიად შესაძლებელია, შეწყვიტოთ მისი გაუთავებელი შემოწმება.

მეორე რჩევაა, ხშირი ურთიერთობა გქონდეთ მის ოჯახსა და ახლობლებთან. როცა საყვარელი ადამიანის შესახებ მეტი გეცოდინებათ, ეჭვიანობასაც საფუძველი შეერყევა. ასევე, აუცილებელია, მიიღოთ მისი მეგობრები და მეტი დრო გაატაროთ მათ წრეში. ასეთ დროს ქრება აზრი, რომ ადამიანი, რომელიც გიყვართ, თქვენს გარეშე მეგობრებთან ერთად ყოფნისას რაიმე ცუდს აკეთებს.

ყველაზე მთავარი კი მაინც საკუთარი შიშებისათვის თვალის გასწორება და მათ უსაფუძვლობაში დარწმუნებაა. თუ მისი წარსული გაშფოთებთ, ჰკითხეთ განვლილი ცხოვრების შესახებ, აწმყოში კი იყავით მისი ნამდვილი მეგობარი, ესეც ეჭვისგან გათავისუფლებაში დაგეხმარებათ.

უძველესი დემონები თუმცა ადვილად არ მარცხდებიან, მაგრამ დაუმარცხებელნიც არ არიან. თავდაჯერებულობა და ინდივიდუალური ინტერესების ფართო სპექტრი ხშირად ადამიანს მოუცლელს ხდის იმისათვის, რომ მათ დაემორჩილოს. და კიდევ, ერთი აღმოსავლელი ბრძენის სიტყვებიც გავიხსენოთ: "ჭკვიანი ქალი მუდამ საკუთარ თავს უფრო მეტად ადევნებს თვალყურს, ვიდრე ქმარს".

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

ფონდების მცველი

თავად, როგორი სადა და მოკრძალებულიც გახლავთ ლიანა ბალხამიშვილი, სწორედ ისეთი დაბადების დღე ჰქონდა 14 თებერვალს...

ზუსტად იმ დღეს, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მასთან სპეციალურად მისალოცად მივიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის დარგის ხელმძღვანელი მუშაკები,მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, რომელიც გულითადად მიესალმა ღვაწლმოსილ ქალბატონს და აგრეთვე, მისი დიდი ხნის მეგობრები, ახლობლები, თანამშრომლები, რომლებმაც თბილი სიტყვებით მიმართეს იუბილარს და გაიხსენეს მასთან გატარებული წლები...

– წლების წინ, როდესაც წავიკითხე გარსია მარკესის რომანი "იცხოვრო, რომ მოჰყვე", დიდხანს დავრჩი მის გმირთან, მეხსიერებაში მოვძებნე ჩემს გარშემო მყოფი ადამიანები, რომლებმაც ნამდვილად იცხოვრეს, ისე, რომ მოჰყვნენ, – აი, ასე მიმართა დიდი ხნის მეგობარს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელმა ლია ნიპარიშვილმა, – დიახ, სწორედ, ერთ-ერთი ასეთი აღმოჩნდა ჩვენი ქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნაამაგარი, თავისი საქმის პროფესიონალი ლიანა ბალხამიშვილი და რატომღაც, მისი ბიოგრაფია, ცხოვრება სწორედ რომ მარკესის გმირს მაგონებდა. სხვათა შორის, სკოლის დროინდელი ჩემი მეხსიერების არქივი ინახავს კადრებს, რომელიც მუზეუმში სტუმრობისას დამამახსოვრა ახალგაზრდა ექსკურსიამძღოლმა – ლიანა ბალხამიშვილმა. შემდეგ კი, საერთო ინტერესებმა და თანამოაზრეობამ დაგვაახლოვა... დღემდე ბედნიერი ვარ მასთან სიახლოვით.

ცხოვრება მარტო განვლილი წლები კი არ არის, არამედ ის, რაც გახსოვს, ქალბატონმა ლიანამ კი, ნამდვილად იცხოვრა ისე, რომ მოჰყვეს. მინდა მარკესს დავესესხო: "დიდი წიგნები მხოლოდ ქაღალდზე არ იწერება" და ერთმნიშვნელოვნად გითხრათ, რომ ლიანასნაირი ადამიანები წიგნებად რჩებიან.

იუბილარს დაბადების დღე მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ და მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა...

✦ სამი წლის იქნებოდა ლიანა ბალხამიშვილი, როდესაც მისი ოჯახი 1939 წელს საცხოვრებლად კარალეთიდან კასპში გადმოვიდა. დაამთავრა კასპის პირველი საშუალო სკოლა და მაშინვე დაიწყო მუშაობა მდივან-მემანქანედ იმჟამინდელ "სამტრესტის" ღვინოების კასპის ქარხანათ-სამმართველოში.

სავალდებულო სამუშაო სტაჟის შესრულების შემდეგ, 1959 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე /ეთნოგრაფიის სპეციკურსი /, რომელიც დაამთავრა 1966 წელს...

მოკლედ, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ლიანა ბალხამიშვილმა მუშაობა დაიწყო მეცნიერ-მუშაკად კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ოდნავ მოგვიანებით კი, იგი გადაიყვანეს მუზეუმის ფონდების განყოფილების გამგედ.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ამ კულტურული დაწესებულების შეუცვლელი წევრია და მუზეუმელები ქალბატონ ლიანა ბალხამიშვილს დღესაც ვერ ელევიან. მართალია, საპენსიო ასაკმაც მოუწია ფონდების შეუდარებელ გამგეს, მაგრამ მას როგორც, მუზეუმის უტყუარ მატიანეს დღესაც თავისი ადგილი უკავია, დიახ, კონსულტანტი, როგორც მიწვეული სპეციალისტი კვლავაც ღირსეულად უძღვება საქმეს. ლიანა ბალხამიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არა მარტო კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, არამედ მისი ყოფილი ფილიალების – /ხოვლის, ლამისყანის, სასირეთის/ დაარსებისა და სტაციონარული ექსპოზიციების განთავსების საქმეში. მას შედგენილი აქვს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის რაიონის მატერიალური კულტურული ძეგლების ნუსხა, იგი აქტიურად მონაწილეობდა ფოლკლორული კრებულის "ნამცვრევის" შეკრებაში, მან უდიდესი სამსახური გასწია ენციკლოპედიური კრებულის მასალების შედგენაში / ტომი მეხუთე/ "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღწერილობა", რომელიც მოიცავს გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის და ხაშურის რაიონების სისტემატიზაციას და კორექტურას.

ლიანა ბალხამიშვილს მართლაც, რომ ზღვა სამუშაო აქვს გაწეული ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ თემებზე. საყურადღებოა მის მიერ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები: "ი. ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი", "ყველაზე ბნელი დღე ჯავახიშვილის ცხოვრებაში", "უნივერსიტეტი მაინც გაიხსნება", "შტრიხები ი. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ".

ლიანა ბალხამიშვილი აქტიურად და დაუღალავად მუშაობდა რაიონის სოფლებისა და ნასოფლარების აღწერაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მის მიერ მომზადებული ენციკლოპედიური სტატიები ნასოფლარებზე, სხვათა შორის, მას მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი და დამუშავებული სოფელ თეზის ისტორია.

აღსანიშნავია აგრეთვე, მის მიერ მომზადებული რაიონში გავრცელებული გვარ-სახელების მონოგრაფიული გამოკვლევები/ ბუნტური და მისი შტონაყარი გვარები: სუხაშვილი, გოგიაშვილი, კალომლეწავი, გოგიჩაშვილი/. ფრიად საინტერესო გახლავთ მის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალა: პოეზია, ანდაზები, ტოპონიმები, საწესჩვეულებო რიტუალები, თიკუნები, გაიშვიათებული სიტყვა-თქმები... ძალზედ საინტერესოა მის მიერ შესწავლილი გამოკვლევები რაიონის ტერიტორიაზე შემორჩენილ საცხოვრებელ დარბაზებზე "ქართლური დარბაზი" /ერთაწმინდა/ და კიდევ, საინტერესო, ფრიად აქტუალური გახლავთ მის მიერ დამუშავებული თემა, რომელიც ეხება მევენახეობისა და მეღვინეობის საკითხს კასპის რაიონში – "ჩინური იგივე კასპური". და მაინც, ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ საქმისა, რომელსაც ლიანა ბალხამიშვილი წლების განმავლობაში მთელი პასუხიმგებლობითა და აქტიურობით, უდიდესი სიყვარულით ასრულებდა, თავის ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

აუხსნელი, უცნაური, მოულოდნელი

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი.'' საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ ,,ფენომენს,, და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

ყურადღება! განცხადება ყურადღება!

შ.პ.ს. “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. “ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1.ციცხვიანი ავტომტვირთავის მძღოლი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი რეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში 2019 წლის 6 მარტის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

მეხუთე დრო

რუბრიკა – წელიწადის მეხუთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი საზოგადოებას.

“ფრთიანი ფრაზები”

ბავშვობაში ნათქვამი “ფრთიანი ფრაზები” დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ “ოქროს ფონდში,” თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველას შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში “მაკნაცფუნა” და გახდით რუბრიკის სტუმარი.

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს საავტორო კროსვორდები, შემეცნებით-გასართობი მასალები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 0371222576.

ხელოვნება

ნარგიზა მჭედლიშვილი

ავერსის კლინიკაში მორიგი ანალიზის ასაღებად მისულს ექიმებმაც ვერ გიშველეს, გული გაგიჩერდა. თითქოს გაჩერდა ყველაფერი ირგვლივ... ოთხი დედმამიშვილი დაგვაკენტე, (ჩემი ნება რომ იყოს, სექტემბრის თვეს სულ ამოვიღებდი ჩემი ცხოვრებიდან).

გვაკლიხარ ძალიან, გვენატრება შენი ღიმილი, სითბო, სიყვარული და გვერდში დგომა. შენ დაბადების დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ, მაგრამ ვიცი, რომ მანდედან ლოცავ შენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს.

შენმა შვილიშვილებმა გასახელეს კარგი სწავლით... სალომემ ცხრა კლასი წარჩინებით დაამთავრა და დაასაჩუქრეს კომპიუტერით, რომელსაც მთელი ზაფხული ელოდებოდი.

ჩვენს მეხსიერებაში დარჩები როგორც ყველაზე სათნო, კეთილი, მშვიდი, პრანჭიკუდა და სიყვარულით სავსე ...

უფალს შევთხოვთ შენს სულს სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს.

და სონიკო.

დედა ეთერ მონასელიძე, და დალი მონასელიძე, დისშვილი ნინო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამაზ მონასელიძე.

მეუღლე ქეთევან მონასელიძე, შვილები ალეკო, ეთერი, რძალი ნინო ჩადუნელი, სიძე დავით ლონდაძე, შვილიშვილები, შვილთაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამაზ მონასელიძე.

თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის პედკოლექტივი სამძიმარს უცხადებს ქეთევან მონასელიძეს მეუღლის
თამაზ მონასელიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე რევაზ ჭანიშვილი და კავშირის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქეთევან მონასელიძეს მეუღლის
თამაზ მონასელიძის
გარდაცვალების გამო.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა მჟავანაძე სამძიმარს უცხადებს ქეთევან მონასელიძეს მეუღლის
თამაზ მონასელიძის
გარდაცვალების გამო.

ცეკვის აკადემია ,,დიდგორის,, მოცეკვავეები, მათი მშობლები, ქორეოგრაფები მარინა რუსიშვილი, დარინე პაპაშვილი თანაუგრძნობენ სამხატვრო ხელმძღვანელს ქეთევან მონასელიძეს მეუღლის
თამაზ მონასელიძის
გარდაცვალების გამო.

ნანა მერებაშვილი და რუსუდან ხერხეულიძე სამძიმარს უცხადებენ ქეთევან მონასელიძეს მეუღლის და ეთო მონასელიძეს მამის
თამაზ მონასელიძის
გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,! გახდით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76